# შირაქი

გამოცემის მე-80 წელი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№37 (9.798)
25 – 30 სექტემბერი 2017 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

## დედოფლისწყაროს მერობისთვის 5 კანდიდატი იბრძოლებს



გვ.3



გვ.2

## საავტომობილო გზების რეაბილიტაცია გრძელდება

## სოფელ ფიროსმანში ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი გაიხსნა

გვ.2

## „რინგის მეფეები“ არსენ ყარაგვეზაშვილი და ნოდარ ცხოვრებაძე



გვ.8

## „ცეცხლის ტაძარს“ და „ჭაბუკაურის ბაზილიკას“ ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია განესაზღვრა

გვ.7



გვ.5

## პატარა წარმატებებით შევძლებთ, შევქმნათ საქართველოს დიდი წარმატება

## ცესკოს წინასაარჩევნო კამპანია – „ამომრჩეველთან უფრო ახლოს“!



გვ.3

## უურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50.2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 21 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

# საავტომობილო გზების რეაბილიტაცია გრძელდება




წნორი-დედოფლისწყარო-ქვემო ქედის საავტომობილო გზის ოცდამეორე-ოცდამეოთხე კილომეტრებზე სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. უკვე შეიცვალა ძველი, დაზიანებული სანიაღვრე მილები და იგება ასფალტის საფარი.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში წელს დასრულდა დედოფლისწყარო-ზემო ქედის დამაკავშირებელი გზის 12 კილომეტრიანი მონაკვეთის სრული რეაბილიტაცია. ამჟამად კი ეწყობა სოფელ ზემო ქედის საფეხმავლო ტროტუარები.

ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც სოფელ ოზაანიდან ქვემო ქედის ჩათვლით 37 კილომეტრიანი საავტომობილო გზის სრულ რეაბილიტაციას ითვალისწინებს, 2013 წელს დაიწყო და 2018 წლის ბოლოს დასრულდება.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „სერპანტინი“ ასრულებს.

# სოფელ ფიროსმანში ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი გაიხსნა



სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი ფიროსმანის საბავშვო ბაგა-ბაღმა ახალ შენობაში დაიწყო. სკოლამდელი დაწესებულება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ პაპიაშვილმა სკოლამდელი და სკოლის გარეშე სააღმზრდელო ცენტრის ხელმძღვანელთან, მაია ყოჩიაშვილთან ერთად დღეს გახსნა.

ნუგზარ პაპიაშვილმა პატარებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცა და თანამედროვე სტანდარტების ბაღი ადგილობრივ პერსონალთან ერთად დაათვალიერა.

ფიროსმანის ბაგა-ბაღისთვის ახალი შენობის სრული რეაბილიტაცია 2013 წელს დაიწყო და წელს დასრულდა. საბავშვო დაწესებულების სხვა შენობაში გადასვლა სოფელში ბავშვების რაოდენობის ზრდამ განაპირობა.

აღსანიშნავია, რომ ფიროსმანში ბაგა-ბაღი 20 წლის განმავლობაში არ ფუქციონირებდა. ის მხოლოდ 2013 წელს გაიხსნა და 23 აღსაზრდელზე იყო გათვლილი. დაწესებულებაში წელს 43 პატარა ირიცხება.

# დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს

**მის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონება:**

| ლოტი | მისამართი | ქონების დასახელება | საკადასტრო კოდი | ფართობი | საწყისი საპრივატიზებო | ლოტი | მისამართი | ქონების დასახელება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქ. დედოფლისწყარო. ნიკორციხის ქუჩა | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 52.08.37.168. | 360 კვ.მ. | 1200 | 10% | 5% | 100 |
| 2 | ქ. დედოფლისწყარო. 9 აპრილის ქუჩა | ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორიის შენობა N1, N2. შენობის დემონტაჟის პირობით 3 თვის ვადაში. | 52.08.32.013. | N1 შენობის დაშენების ფართი-124,7 კვ.მ. N2შენობის დაშენების ფართი-6,6 კვ,მ. | 11000 | 10% | 5% | 100 |
| 3 | დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელ გამარჯვებისა და თავწყაროს მიმდებარე ტერიტორია | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 52.44.31.012. | 100 კვ.მ. | 300 | 10% | 5% | 100 |
| 4 | დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი. სოფელი ფიროსმანი | ყოფილი ღვინის ქარხნის ადმინისტრაციული შენობა. შენობის დემონტაჟის პირობით 3 თვის ვადაში. | 52.12.35.002. | შენობის დაშენების ფართი 661 კვ.მ. | 2000 | 10% | 5% | 100 |
| 5 | დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი. სოფელ საბათლოს მიმდებარე ტერიტორია | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1. | 52.14.31.012. | 16644 კვ.მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. დაშენების ფართი-13657 კვ.მ | 17500 | 10% | 5% | 100 |

**აუქციონზე სარგებლობის უფლებით (იჯარით) 10 (ათი) წლის ვადით გადასაცემად გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

| მისამართი | ქონების დასახელება | საკადასტრო კოდი | ფართობი | ქირის წლიური საფასური | მისამართი | ქონების დასახელება | საკადასტრო კოდი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი. სოფელი ხორნაბუჯი | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სახნავი) | 52.06.31.066. | 40005 კვ.მ | 420 | 10% | 5% | 100 |

**აუქციონზე სარგებლობის უფლებით (იჯარით) 2 (ორი) წლის ვადით გადასაცემად გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

| მისამართი | ქონების დასახელება | საკადასტრო კოდი | ფართობი | ქირის წლიური საფასური | მისამართი | ქონების დასახელება | საკადასტრო კოდი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქ.დედოფლისწყარო, 9 ძმის ქ. N18 | N1 საბავშვო ბაღის მე-2 სართულზე არსებული არასაცხოვრებელი ფართი | 52.08.35.035 | 133,3 კვ.მ | 737 | 10% | 5% | 100 |

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:**

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, ან იმ პირთა გაერთიანებას რომლის ქონებაშიც, საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური. ანა ბენაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 13 00 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 13 00 სთ-ზე.

აუქციონი გაიმართება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, 14 00 სთ-ზე.

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. N44, მე-3 სართული, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. განაცხადს, დადგენილი ფორმის მიხედვით;
2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში-GE24NB0330100200165022;

სახელმწიფო ხაზინა-TRESGE 22;

კოდი- 300 533 390 (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი); კოდი- 300 533 325 (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით);

კოდი- 300 533 313 (არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობები);

კოდი- 300 533 212 (შენობა-ნაგებობების იჯარა);

კოდი- 300 533 047 (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (სახნავი) იჯარა);

პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილეს ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ გადაეცემა აუქციონზე დასწრების ბილეთი.

აუქციონში დამარცხებულს „ბე“ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე“ უკან არ დაუბრუნდება.

გასაყიდი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ. დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. N44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური.

საკონტაქტო ტელ: 599 85 58 40

საუქციონო კომისია

# დედოფლისწყაროს მერობისთვის 5 კანდიდატი იბრძოლებს

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების რეფორმირება იწყება. ცნობილია, რომ გამგებლის თანამდებობას მერი ეწოდა, ხოლო გამგეობას- მერია. ასე რომ, არჩევნების შემდეგ თვითმმართველობის ორგანოების ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. 21 ოქტომბერს დაგეგმილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქში მზადება აქტიურად მიმდინარეობს. საოლქო-საარჩევნო კომისიაში საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის ვადა ამოიწურა. დედოფლისწყაროს მერის სავარძლის დასაკავებლად 5 კანდიდატი იბრძოლებს.

„ქართული ოცნება“ – ნიკოლოზ ჯანიაშვილი

„ნაციონალური მოძრაობა“ – ლევან ბაღაშვილი

„პატრიოტთა ალიანსი“ – ზაქრო სეხნიაშვილი

„ევროპული საქართველო“ – ივანე შანშიაშვილი

„ახალი საქართველო“ – დაუსიკ ჰოვსეპიანი.

როგორც დედოფლისწყაროს საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნინო მჭედლიშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას აღნიშნავს, ოლქში რეგისტრაცია 9 საარჩევნო სუბიექტმა გაიარა, აქედან მერის და მაჟორიტარობის კანდიდატები 5 პარტიას ჰყავს დასახელებული, დანარჩენი 4 პარტია კი მხოლოდ საარჩევნო სიის წარდგენით შემოიფარგლა.

ნინო მჭედლიშვილი: „წინასწარ დადგენილი წესებისა და ვადების მიხედვით ,საოლქო კომისიაში 9 სუბიექტი დარეგისტრირდა. წარმოადგინეს როგორც კანდიდატები, ისე პარტიული სიები. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში რაიმე სახის სერიოზული ხარვეზები არ ყოფილა. უმნიშვნელო ხარვეზები ჰქონდათ, რაზეც მიეთითათ, ჩასწორდა და ნაკლოვანებები აღმოიფხვრა. ამ ეტაპისთვის ყველაფერი წესრიგშია. ცხრა სუბიექტიდან კანდიდატები მხოლოდ ხუთმა მათგანმა წარადგინა, ხოლო ოთხი პარტია არჩევნებში მხოლოდ პროპორციული სიით მონაწილეობს. ამრიგად, ლეიბორისტულ პარტიას, კუკავას პარტიას, რესპუბლიკელებს და ნინო ბურჯანაძის პარტიას მოახლოებულ არჩევნებზე საკუთარი კანდიდატები არ ეყოლებათ.

***– ქალბატონო ნინო, რაც შეეხება მაჟორიტარ კანდიდატებს, რამდენი კანდიდატი დარეგისტრირდა და რომელი პოლიტიკური სუბიექტებიდან?***

– დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქში, სოფლების ჩათვლით, რეგისტრირებულია 57 მაჟორიტარი კანდიდატი. როგორც გითხარით, ქალაქსა და სოფლებში კანდიდატები ხუთმა სუბიექტმა დაასახელა. ესენია: „ქართული ოცნება“, ნაციონალური მოძრაობა“, „პატრიოტთა ალიანსი“, „ევროპული საქართველო“ და „რესპუბლიკელები“.

***– რა სიახლეები და ცვლილებებია მოახლოებულ არჩევნებზე?***

– სიახლეა ისიც, რომ წინა წლებისგან განსხვავებით, ამჯერად ქალაქ დედოფლისწყაროს ოლქი ორად გაიყო და ამიერიდან ქალაქს მუნიციპალიტეტის საკრებულოში ორი მაჟორიტარი ეყოლება. სიახლე გამოწვეულია იმით, რომ მაჟორიტარები ამომრჩეველთა ოდენობის მიხედვით უნდა მუშაობდნენ. ქალაქი ორ ზონას მოიცავს-რუსთაველის ქუჩის ზედა მხარეს ე.წ. „კამიშოვკა“ და ქვედა მხარეს. იმის გამო, რომ ქალაქი გაიყო, მოგვიწია ცალკეულ საარჩევნო უბნებზე საზღვრების ცვლილება. ამიტომ, ზოგიერთ ამომრჩეველს სხვა უბანზე მოუწევს ხმის მიცემა. თუმცა, დედოფლისწყაროს ოლქში კვლავ 23 საარჩევნო უბანი იმოქმედებს.



***– ამომრჩევლის ოდენობას რაც შეეხება?***

– ამჟამად დედოფლისწყაროს ერთიან საარჩევნო სიაში რეგისტრირებულია 22 017 ამომრჩეველი. ეს კი გასული წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით საკმაოდ შემცირებულია, რადგან წინა შემთხვევაში 22 500-მდე იყო. როგორც ჩანს, გარდაცვლილები ჩასწორდა, ამ პროცესებზე ასახვას პოვებს მიგრაციაც. საოლქო და საუბნო კომისიები აქტიურად მუშაობენ საიმისოდ, რომ საარჩევნო პროცესი კენჭისყრის დღეს შეუფერხებლად წარიმართოს და ამომრჩეველს მიეცეს საარჩენო ხმის უფლების განხორციელების შესაძლებლობა“.

რაც შეეხება ქალაქისა და სოფლების მაჟორიტარობის კანდიდატებს და დედოფლისწყაროს მერობის კანდიდატების ბიოგრაფიულ ცნობებს, გაზეთი „შირაქი“ მომავალ ნომრებში შეეცდება დაწვრილებითი ინფორმაცია მოგაწოდოთ თითოეულ მათგანზე, რათა 21 ოქტომბერს დედოფლისწყაროელებს ინფორმირებული არჩევანის საშუალება ჰქონდეთ.

ილია მარტყოფლიშვილი

# ცესკოს წინასაარჩევნო კამპანია — ამომრჩეველთან უფრო ახლოს!

***საარჩევნო ადმინისტრაცია 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის განაგრძობს ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანიას და მოქალაქეებს შეახსენებს, რომ ამომრჩეველთა სიაში ცვლილებების შეტანის მოთხოვნის ბოლო ვადა 3 ოქტომბერია.***

ამომრჩეველთა მაქსიმალურად ინფორმირების მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციისა და ცესკოს ”სწავლების ცენტრის” თანამშრომლებმა უკვე დაიწყეს საგანმანათლებლო პროექტის ”ვესაუბრებით ამომრჩევლებს” მეორე ეტაპის განხორციელება. აღნიშნული ეტაპის მთავარი მიზანია მოქალაქეთა ინფორმირება და აქტიური ჩართვა საზოგადოებრივ აქციაში - „იპოვე შენი თავი - იპოვე შენი უბანი“.

„ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ - ეს არის საარჩევნო ადმინისტრაციის ახალი ინიციატივა და საქართველოს მასშტაბით საოლქო საარჩევნო კომისიების მოსახლეობასთან შეხვედრებს ითვალისწინებს. **ამ კამპანიის ფარგლებში უკვე ჩატარდა მოსახლეობასთან შეხვედრები მთელი საქართველოს მასშტაბით. დედოფლისწყაროშიც ჩატარდა ეს კამპანია. დედოფლისწყაროს საოლქო-საარჩევნო კომისიის წევრები აქტიურად იყვნენ ჩართულები ამომრჩევლის ინფორმირების მიზნით მიმდინარე შეხვედრებში. ამომრჩევლებს საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლები სოფლებსა და მუნიციპალიტეტების საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ხვდებოდნენ და 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნების და საარჩევნო ადმინისტრაციის შესახებ აწვდიდნენ ინფორმაციას**; ურიგებდნენ მათ საინფორმაციო ბარათებს თვითმმართველობის არჩევნების შესახებ, ესაუბრებოდნენ საკუთარი საარჩევნო უფლებების თაობაზე და იზიარებდნენ მათ მოსაზრებებს.ახლა იწყება ამ კამპანიის მეორე ეტაპი.

**საარჩევნო ადმინისტრაციისთვის არსებითად მნიშვნელოვანია მოქალაქეების აზრის გაგება ზოგადად საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით და სწორედ მათი მოსაზრებების გათვალისწინება საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული სერვისების გაუმჯობესების მიზნით; აღნიშნულიდან გამომდინარე, სურვილის შემთხვევაში ამომრჩევლები შეავსებენ მოსაზრებების ბარათებსაც. საარჩევნო ადმინისტრაცია, თავის მხრივ კომპეტენციის ფარგლებში გეგმავს მიღებული მონაცემების საკუთარ საქმიანობაში გათვალისწინებას.**

გასვლითი შეხვედრებისას საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლები მოქალაქეებს ასევე იწვევენ მაისში დაგეგმილ საჯარო საინფორმაციო შეხვედრებზე (რომელიც საოლქო საარჩევნო კომისიებში გაიმართება), სადაც მათ შესაძლებლობა ექნებათ კიდევ უფრო დეტალური ინფორმაცია მიიღონ არჩევნებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ, - თუ რა ხორციელდება იმისათვის, რომ



ამომრჩევლებს ყოველთვის ჰქონდეთ შესაძლებლობა ყველასათვის ხელმისაწვდომ გარემოში შეასრულონ საკუთარი მოქალაქეობრივი ვალი.

**„უფრო ახლოს“ საარჩევნო ადმინისტრაციის ახალი ინიციატივის სლოგანია, რაც ამომრჩევლებსა და საარჩევნო ადმინისტრაციებს შორის უფრო უშუალო და ეფექტურ კომუნიკაციას გულისხმობს და ამომრჩევლის ინფორმირებასთან ერთად პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანიც არის.**

გასვლითი შეხვედრებით საარჩევნო ადმინისტრაცია მიზნად ისახავს ამომრჩეველი იყოს კარგად ინფორმირებული, - იცოდეს საკუთარი საარჩევნო უფლებები, გაიგოს თუ რა კეთდება საარჩევნო პროცესების ეფექტურად განხორციელებისთვის და იცოდეს, რომ საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით დახმარების მიზნით ყოველთვის შეუძლია მიმართოს თავის საოლქო საარჩევნო კომისიას.

ინფორმირების კამპანიას უახლოეს დღეებში შეუერთდებიან 73-ვე საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები, რომლებიც ამომრჩევლებთან შეხვედრებს გამართავენ მთელი ქვეყნის მასშტაბით. სოფლებსა და მუნიციპალიტეტების საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები დაეხმარებიან მოქალაქეებს გადაამოწმონ საკუთარი მონაცემები ამომრჩეველთა სიაში და ასევე, დამატებით მიაწოდებენ ინფორმაციას 2017 წლის არჩევნებისა და მათი საარჩევნო უფლებების შესახებ.

ცესკოს მიერ შეთავაზებული ინოვაციური სერვისების საშუალებით, ამომრჩევლებს საკუთარი და ოჯახის წევრების მონაცემების გადამოწმება შეუძლიათ ცესკოს ვებგვერდის (ვოტერს.ცეც.გოვ.გე), მობილური ტელეფონის, პლანშეტისა და მთელი ქვეყნის მასშტაბით განთავსებული 9 500 სწრაფი გადახდის აპარატის მეშვეობით. ამომრჩეველთა სიაში მონაცემების გადამოწმებისას, მომხმარებელი ასევე მიიღებს ინფორმაციას, თუ რა მისამართზეა განთავსებული მისი საარჩევნო უბანი.

2017 წლის მნიშვნელოვანი სიახლეა, რომ ამომრჩევლები მონაცემების გადამოწმებას, გარდა ანდროიდის სისტემაზე მორგებული აპლიკაციისა, წელს უკვე იჲშის სისტემის მობილურისა და პლანშეტის გამოყენებითაც შეძლებენ.

აღსანიშნავია, რომ ამომრჩეველთა სია ხელმისაწვდომია როგორც ქართულ, ისე აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. გარდა ამისა, ადაპტირებული ვებგვერდის საშუალებით უსინათლო ამომრჩევლები შეძლებენ საკუთარი მონაცემების გადამოწმებას.

**მნიშვნელოვანი სიახლე შესთავაზა წელს ცესკომ ყრუ და სმენადაქვეითებულ ამომრჩევლებსაც - ისინი ინფორმაციას ცესკოს სატელეფონო-საინფორმაციო ცენტრში ვიდეო ზარის საშუალებით ჟესტურ ენაზე მიიღებენ და შეძლებენ გადაამოწმონ საკუთარი მონაცემები ამომრჩეველთა ერთიან სიაში.**

ამომრჩევლებს სიებში მონაცემების გადამოწმება საარჩევნო უბნებზეც შეეძლებათ. კანონმდებლობის შესაბამისად, ამომრჩეველთა სიის საჯარო ვერსია ყველა საარჩევნო უბანზე გამოკრული იქნება არაუგვიანეს 21 სექტემბრისა.

იმისათვის რომ, კანონმდებლობით უფლებამოსილ თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა, ცესკო კიდევ ერთხელ მიმართავს ამომრჩევლებს, რომლებიც საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან არიან მოხსნილები, ასევე ამომრჩევლებს, რომელთა რეგისტრაციაც ძალადაკარგულად გამოცხადდა იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ და მისამართის მითითების გარეშე რეგისტრირებულ მოქალაქეებს:

შეგახსენებთ, რომ ყოველ დღე, შაბათკვირის ჩათვლით, ფუნქციონირებს ცესკოს სატელეფონო-საინფორმაციო ცენტრი, რომლის ტელეფონის ნომერიც არის 2 51 00 51; ასევე მუშაობს ონლაინ ჩათი. დაინტერესებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა დაგვიკავშირდნენ და მიიღონ არჩევნებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია.

ინგა შიოლაშვილი

# გიორგი კვირიკაშვილი - რუსეთის ფედერაცია აგრძელებს საქართველოს სუვერენული ტერიტორიის ოკუპაციას

რუსეთის ფედერაცია აგრძელებს საქართველოს სუვერენული ტერიტორიის ორი ისტორიული რეგიონის ოკუპაციას, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გაერო-ს გენერალური ასამბლეის 72-ე სესიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის ბოლოდროინდელ ქმედებებზე გაამახვილა ყურადღება და ხაზი გაუსვა, რომ 2017 წლის დასაწყისში რუსეთის ფედერაციამ გააააქტიურა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის პოლიტიკა.

„გამოწვევებით, მიმდინარე და გაყინული კონფლიქტებით, სახელმწიფოთა და სხვათა მხრიდან აგრესიით აღსავსე დღევანდელ მსოფლიოში არც საქართველოა გამონაკლისი. და აქაც ჩვენი პოლიტიკის ცენტრში ჩვენი მოქალაქეები დავაყენეთ. გაერო-ს წევრებმა კარგად იციან, რომ რუსეთის ფედერაცია აგრძელებს საქართველოს სუვერენული ტერიტორიის ორი ისტორიული რეგიონის ოკუპაციას, რითაც არღვევს არაერთ საერთაშორისო ვალდებულებას, რომელიც მას აკისრია, მათ შორის, უშიშროების საბჭოსა და გაერო-ს გენერალური ასამბლეის ათობით რეზოლუციას.

2017 წლის დასაწყისში რუსეთის ფედერაციამ გააააქტიურა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის პოლიტიკა. მან გააფორმა ე.წ. „შეთანხმებები ინტეგრაციის შესახებ“ და ხელი მოაწერა „ხელშეკრულებებს“ დე-ფაქტო ხელისუფლებებთან, რათა რუსეთის სამხედრო, პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა სისტემებმა შთანთქან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები. მოსკოვმა გააააქტიურა საქართველოს ორივე ოკუპირებული რეგიონის მილიტარიზაცია.

რუსეთის ფედერაციამ გააააქტიურა საოკუპაციო ხაზების განმტკიცება მავთულხლართების, სანგრების, ე.წ. სასაზღვრო ნიშნულებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების მეშვეობით. მავთულხლართები კი ზოგიერთის კარ-მიდამოს უბრალოდ შუაზე ჰყოფს.

დაუცველი ჯგუფები, რომლებიც აქამდე, მაგალითად, სამედიცინო დახმარების მისაღებად, ან ბავშვები, რომლებიც დღეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალულ მშობლიურ ქართულ ენაზე განათლების მისაღებად გადმოდიოდნენ მეორე მხარეს, დღეს ამას ველარ ახერხებენ, რადგან ე.წ. გადამკვეთი პუნქტები დაიხურა. ამასობაში კი, რუსეთი აგრძელებს მოძრაობაზე რეაგირებისა და სხვა სახის ტექნოლოგიების გამოყენებას, რათა მოიპოვოს სრული კონტროლი მთლიანად საოკუპაციო ხაზების გაყოლებაზე.

საქართველო მტკიცედ ემხრობა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას. საქართველოს მთავრობა ზედმიწევნით ასრულებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ევროკავშირის შუამდგომლობით ხელმოწერილი შეთანხმების პირობებს. მან არაერთხელ დაადასტურა ძალის არგამოყენების შესახებ დებულების ერთგულება. რუსეთისგან საპასუხო მოქმედებას ადგილი ჯერ არ ჰქონია.

საქართველოს მუდმივი ძალისხმევა, რომელიც მიმართულია კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიანი გზების მოძიებისკენ, დამოწმებულია არაერთი ქვეყნისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. მინდა მადლობა გადავუხადო მსოფლიო ლიდერებს, რომლებიც გაერო-ს მაღალი ტრიბუნიდან ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საჭიროა დაჩქარდეს კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება, და კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ მხარს უჭერენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მან მადლობა გადაუხადა გაერო-ს ყოველწლიურად საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუციების მიღების გამოც.

„ყოველ წელს გაერო-ს გენერალური ასამბლეა იღებს რეზოლუციას, სადაც კიდევ ერთხელ აცხადებს იძულებით გადაადგილებულ პირთა და ოკუპირებული რეგიონებიდან ლტოლვილთა უფლებას, დაბრუნდნენ შინ. საქართველო მადლობას მოახსენებს გაერო-ს ამ მხარდაჭერისთვის, მაგრამ ყოველივე ეს ჯერ ვერ იქცა რეალობად ასობით ათასი ჩემი თანამემამულისთვის, რომლებიც მოუთმენლად ელიან შინ დაბრუნებას და მაინც ვერ ბრუნდებიან მხოლოდ იმიტომ, რომ გაერო-ს მხოლოდ ერთი წევრი სახელმწიფო უარს ამბობს თავისი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაზე.

საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს საოკუპაციო ხაზის მეორე მხარეს მცხოვრებ ჩვენს თანამოქალაქეებთან ნდობის აღდგენის ახალ ინსტრუმენტებს. ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილებაა, მივაწოდოთ საქართველოს ევროპული დღის წესრიგის ყველა სარგებელი საოკუპაციო ხაზების მეორე მხარეს მცხოვრებ მოქალაქეებს. ჩვენი ინიციატივების არსებითი პაკეტი ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთათვის იძლევა ადმინისტრაციული გამყოფი ხაზების გადაკვეთით სავაჭრო შესაძლებლობებს და უზრუნველყოფს გლობალურ ბაზრებზე საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობების ხელმისაწვდომობას. ჩვენ ვთავაზობთ მათ ჯანდაცვას, განათლებას და სხვა სოციალურ სარგებელს“, - აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

# ომიდან მშვიდობამდე...



ცნობილი ფრანგი მწერალი და დრამატურგი თავის ერთ-ერთ რომანს იწყებს სიტყვებით: „ომი რომ დამთავრდა, ყველაფერი აირია.“ დიახ, ომის დასრულება სინამდვილეში დასაწყისია ხანგრძლივი სულიერი და სოციალური კრიზისების და ბრძოლების - საკუთარ თავთან, მტრის ხატთან, ნამდვილ და გამოგონილ მტრებთან და ა.შ...

საქართველო მისი სახელმწიფოებრივი ჩანასახის გაჩენის დღიდან ომს აწარმოებს, დიდწილად ეს ომები საკუთარი თავის და იდენტობის გადარჩენის, თავისუფლების სურვილით იყო ნაკარნახევი, იმ შემთხვევაში, თუ საქმე გვქონდა ერის კონსოლიდაციასთან ერთი მიზნის ირგვლივ. ძალაუფლების გადანაწილებისთვის საქართველოს ტერიტორია, რომელიც ხშირად იცვლიდა საზღვრებს, ძირითადად იყო შიდა, სეპარაციული კონფლიქტების ასპარეზი. ყველა სახელმწიფო სათავეს საერთაშორისო სათავეებიდან იღებს და არცერთ სახელმწიფოს არ შეუძლია, მარტომ იტვირთოს საკუთარი უსაფრთხოება და დამოუკიდებლობა. დღეს ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის ეპოქაში კაცობრიობის მომავალი ძლიერ სახელმწიფოთა შორის მშვიდობის შენარჩუნებაზეა დამოკიდებული, საერთაშორისო პოლიტიკა გავლენას ახდენს პლანეტის სიმდიდრის გადანაწილებაზე, ამიტომაც არცერთ სახელმწიფოს არ შეუძლია სრულ ავტარქიაში არსებობა და ყველა მათგანი იძულებულია, დადოს ფსონი დანარჩენ მსოფლიოსთან ალიანსებზე.

ახალი წელთაღრიცხვის პირველივე საუკუნეში ფარსმან პირველმა რამდენიმე ბრძოლა გამართა პართიელებთან და მას შემდეგ, საქართველოს, როგორც სახელმწიფოებრვი წარმონაქმნის ისტორია არის ომების გზით გადარჩენის თავგადასავალი, რომელიც ადამიანის უფლებების და თავისუფლებების ეპოქაშიც არ დასრულებულა. უკანასკნელი ომი საქართველოში ცხრა წლის წინ, 2008 წლის 7 აგვისტოს დაიწყო და ამ ომს საქართველოს მხრიდან 228 მშვიდობიანი მოქალაქე, 170 სამხედრო პირი და 14 პოლიციელი ემსხვერპლა. 150 ათასმა ადამიანმა კი საკუთარი საცხოვრებელი დატოვა. 9 წლისა და კიდევ უფრო მეტი დროის შემდეგ ამ მოვლენის ანალიზი კიდევ უფრო პრაგმატულ ელფერს შეიძენს. ომის შემდგომ ეფექტებზე საუბრისას, ხშირად ვეხებით ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა, ეკონომიკური სტაბილურობა, ინვესტიციების შემოდინების ოდენობა, მატერიალური ზიანი, სამხედრო პოტენციალის აწონდაწონვა და ზოგადად, უსაფრთხოების პოლიტიკა. თუმცა, სამწუხაროდ, არც დრო და არც რესურსი არ გვრჩება, ჩვენი ცნობიერების ომის მდგომარეობიდან გამოსვლაზე საზრუნავად. „ომის მდგომარეობა“, კი ეს ერთი შეხედვით სამართლებრივი ტერმინი, ძალიან დიდხანს გრძელდება. დიდხანს გრძელდება საკუთარი თავისთვის ჩვენივე ინიციატივით, იგი ბევრი სისუსტის, მანკიერების პატიებაა და ეს ჩვევადაც კი იქცევა ხოლმე. ომის მდგომარეობა მთელ ადამიანურ ძალისხმევას ფიზიკურ თვითგადარჩენაზე მობილიზაციისთვის ახდენს.

„ომის მდგომარეობიდან“ ადვილად გამოსასვლელად უამრავი თეორია არსებობს, მათ შორისაა ადამიანთა „რეფლექსების მისუსტება“ და მშვიდობის შანსი, შემდეგ კი ნელ-ნელა ბუნებრივ მდგომარეობაში გადასვლა.

დღეს უკვე მსოფლიოს მეცნიერთა და მოაზროვნეთა უდიდესი ნაწილი ეთანხმება გერმანელი ფილოსოფოსის ემანუელ კანტის მოსაზრებას, რომ კაცობრიობა აუცილებლად გამოვა ომის მდგომარეობიდან და აუცილებლად მივა იგი საყოველთაო, მარადიულ მშვიდობამდე, როდესაც სახელმწიფოებრივი წესწყობილების განვითარება საბოლოოდ დამკვიდრდება მსოფლიოში.

სალომე ნატროშვილი

# წერილი ჯარისკაცს...

***„წერილები ჯარისკაცებს" საქართველოს თავდაცვის, იუსტიციის, ასევე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების ერთობლივი პროექტია, რომელსაც დანაშაულის პრევენციის ცენტრი სტუდენტებთან ერთად 2012 წლიდან ახორციელებს.***

***პროექტის მიზანი სამშობლოდან შორს მყოფი მებრძოლებისათვის თანადგომისა და მხარდაჭერის გამოხატვაა. აგ ზავნიან სკოლის მოსწავლეები წერილებს, რითაც დიდ სიხარულსანიჭებენ თვეობით ოჯახებს მოწყვეტილ ჯარისკაცებს. ბავშვების წერილებში ერთი უცნაური სადა კონვერტიც აღმოჩნდა, რომელმაც ყველას ყურადღება მიიპყრო. წერილის ადრესატი არ ეწერა, ყველა მისიაში მონაწილეთა მონატრებული ცხოვრება ხომ ძალიან გავს ერთმანეთს. აი ისიც:***

23 სექტემბერს შენი დაბადების დღეა, დეე ...

26 წლის წინ უფალმა დამაჯილდოვა და წმიდა მრავალტანჯვადათმენილი დების ხსენების დღეს მიწყალობა შენი თავი. მიყოლებით ბავშვების გაზრდის მეშინოდა.... მაგრამ ანგელოზმა გამაფრთხილა , შვილს შენ კი არა, უფალი გიზრდისო და შენც მოევლინე ქვეყანას. შვიდ თაობაში გვარის გამგრძელებლის დაბადება თავიდანვე უდიდესი სიხარული იყო ყველასთვის.

შენი დისაგან განსხვავებით, ყველაზე უპრეტენზიო და წყნარი ბავშვობა გქონდა. თურმე როგორ არ გიყვარდა ბაღი, მე კი ძალით დამყავდი...

**როგორ მენატრება ის დრო, პატარები რომ იყავით... საერთოდ არ ვფიქრობდი, დრო ქვიშის საათივით რომ ილეოდა და თქვენივე საკუთარი ცხოვრება ჩემი კალთიდან რომ აგაფრენდათ.** თვალსა და ხელს შუა გაილია და რეალობას შევეჯახე. როგორ ბუმერანგივით დამიბრუნდა ჩემი უგულობა: ბებიაჩემი მეხვეწებოდა, ჩემთან დარჩიო, მე კი ოჯახი მეძახდა და ერთხელაც არ შევუსრულე თხოვნა. ჰოდა, მეც ვეხვეწები დღეს სიმარტოვეს, გამეცალოს, მაგრამ ... ვებღაუჭები ოცნებებს , ცხოვრების მდინარე კი ნაფოტივით მიმაქროლებს თავქვე.... უკვე ნახევარი საუკუნის დაღმართზე. რა დამრჩენია? მინდა დამშვიდებული წავიდე, ისეთ ადამიანთან დაგტოვო, ვისთანაც ბედნიერი იქნები. აი, ჩემი დღევანდელი ოცნების ბოლო.

ისევ შენზე ფიქრი დე. რამხელა გაზრდილხარ. კისტის თოფს ძლივს დაატარებდი, დღეს კი კბილებამდე შეიარაღებული ხარ თურმე. დაწყებით კლასებში მასწავლებელი შენს გათამამებას მთხოვდა-ძალიან წყნარია და ყველაფერი შეუსრულეო. **დღეს კი შენი და შენი ბიჭების ეშინიათ ტერორისტებს. არასდროს მოდიოდი დედასთან სხვა ბიჭებივით ფულის სათხოვნელად. ადრეული ასაკიდან შენი შრომით აღებული ფულით ცხოვრობდი. უცაბედი რთული ოპერაცია რომ გაგიკეთეს, ღმერთს ვევედრებოდი და ღვთისმშობელმა არ დაუთმო შენი თავი „სარკმლიდან გადმოსულ შავ ქურქიან კაცებს“- როგორც შენ ამბობდი და მეკვროდი. დედის გულმხურვალე, ცრემლიანი ლოცვის ძალა პირველად მაშინ ვირწმუნე.**

ქვეყნის სიყვარულმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ ყველაზე მეტად იმოქმედა შენზე და აკი ამიტომაც აირჩიე ყველაზე ურთულესი გზა. ქვეყნისთვის და შენი ახლობლებისთვის შენ უკვე გმირი ხარ დე. არასდროს ჰგავდი შენს თანატოლებს, მისიასიც უყოყმანოდ წახვედი. „ვიღაცამ ხომ უნდა დაიცვას სამშობლოო“-აი შენი პასუხი. მე ეგოისტი დედის პოზიცია მეკავა, თუმცა კი ჩემი და შენი ღირსეული წინაპრების სულს ვხედავ შენში, მიხარია და უდიდეს პასუხისმგებლობას მავალებს. ცხოვრების წლებმა ძალიან შემარყია. მხოლოდ მაშინ ვარ სრულ სიმაღლეზე, როცა ცრემლით ვევედრები შენს თავს დედა ღვთისმშობელს. დავიღალე დეე. ვიცი, არ მაქვს ჯერ კიდევ ამის უფლება, შენი „ფარი“უნდა ვიყო. მხოლოდ ჩემი ასეთი ლოცვით იქნები კარგად. სულაც რომ არ მომწერო, ვიცი, როგორ ხარ იმ დღეს. ძალიან რომ მომენატრები, სამინისტრო სწორედ შენს სურათებს აქვეყნებს იმ შორეული ცხელი წერტილიდან...

რამდენიმე დღეში შენი დაბადების დღეა. შენი დაბადებაც უმტკივნეულო იყო . ჩუმად გაიზარდე და დავაჟკაცდი. დღეს მხოლოდ ვამაყობ და უსაშველოდ მენატრები. სწრაფად მიმავალი მსოფლიო დრო გაჩერდა. დიდ „საცობში“ მოხვდა აღარ გაილია ეს თვეები. არვიცი, როგორ შეგხვდები. ეგ ვიცი სკაიპშიც კი ვშიშობ პირდაპირ საუბარს მიმოწერა მირჩევია. აუხსნელი განცდა მაქვს. ვაითუ ისეთი არ იყო, როგორც მაშინ, აქედან წასვლამდე... 200 დღე უშენოდ ცოტა არაა.

მაშინ პირველად, ორმოცი დღე არ მენახე. გამოცდიდან გამოსულმა, ჯერ ისევ ბავშვმა, ნახაზები და მობილური მომაჩეჩე და შენს ბატალიონს გაეკიდე. **მაშინ პირველად „მოვქსოვე“ ჩვენ შორის უხილავი ტკივილიანი ძაფები და ჩემს ცხოვრებას მოლოდინი ვუწოდე.** სამხედრო პოლიგონიდან ჩამოსული ველარ გიცანი. მხოლოდ შინაგანი სულიერი ძახილით და ჭიშკრის შენეული გაღებით აღვიქვი შენი შემოსვლა. დედაშვილობაში ხომ უხილავი სულიერი ძაფები თვით ღვთისმშობელმა მოგვიქსოვა და ყველას შვილობა იკისრა. ჩვენ კი ულირსნი სათანადოდ არ ვაფასებთ ამ ზებუნებრივ კავშირს. არ ვცემთ პატივს ღირსეულად ჩვენ მშობლებს და ამით კიდევ უფრო ვიმძიმებთ ჩვენ ჯვარს. მე დაუსრულებლად შემიძლია, ვისაუბრო შენზე ...

მე კიდევ მოვიკრებ, დეე ენერგიას, კიდევ შევეხვეწები ყოველთა ზეციურ დედას ჩემი ცოდვებისგან დაგიფაროს და შენი სიხარულით გამახაროს, შენთვის და შენი თანამებრძოლი ქრისტიანი ბიჭებისთვის მალოცვინოს (იქნებ ზოგის დედა ვერ გლოცავთ). ამ შენს უნახავ ჩემთვის ბევრ საათებსაც გაუძლებს დედაშენი, ოღონდ ვიცოდე, რომ კარგად ხარ. თავს გაუფრთხილდი დეე. ჩემთვის მაინც გაუფრთხილდი. გეტყვი რაც ხმამაღლა არასდროს მითქვამს: **უზომოდ მიყვარხარ.....**

# პატარა წარმატებებით შევძლებთ, შევქმნათ საქართველოს დიდი წარმატება



***დღეს ჩვენი ქვეყანა დიდი გამოწვევების წინაშე დგას. ქვეყანა, რომელიც ახალ რელსებზე გადადის და ცდილობს მიაღწიოს ნიშნულის მაქსიმუმს ეკონომიკურ განითარებაში, ყველა ღონეს ხმარობს, რომ ფეხი აუწყოს ახლებურ სვლას. ახალი გზები კი ახალგაზრდების დასაძლევია. დიდი როლი აქვს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებს, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ დაეხმარონ უკიდურესად გაჭირვებულ საქართველოს, ხელი შეუწყონ ქვეყანაში მიკრო და მცირე წარმოების განვითარებას.***

კიდევ ერთი დასტური იმის, რომ ქალი ძლიერი არსებაა და თუ მოინდომა, მთებს გადადგამს. ქალის ენთუზიაზმმა, რწმენამ და მებრძოლმა სულმა ბოლო დროს არაერთი მაგალითი დაგვანახა. ჩემმა მკითხველმა იცის, თუ როგორ ვეძებ გამუდმებით ახალ სახეებს და პერსონებს, რომლებიც თავგამოდებული შრომის და ნიჭის წყალობით არაერთ კარგ საქმეს აკეთებენ და მომავალს საკუთარი შრომით და გონებით ძერწავენ, როგორ მიხარია, როდესაც ასეთთა რიგში საქმიან ქალბატონებს აღმოვაჩენხოლმე. რამდენიმე დღის წინ სწორედ ასეთი ახალგაზრდა არა ქალბატონი, არამედ 23 წლის საქალბატონე გავიცანი, რომლის მიღწევებმაც გამაოცა.

სიახლეების, ინოვაციების და საქმისადმი სიყვარულისკენ სწრაფვა, აი რა დავინახე 23 წლის თამარ შეითნიშვილში, რომელიც თამამად მიმაჩნია, რომ მომავალი ბიზნეს ლედია. თამარმა თავის ორ მეგობართან ერთად პროექტით 100 000 ლარიანი გრანტი მოიგო, რითაც გორში ვაშლების ჩიპსის საწარმო ააშენა, უფრო მეტიც, ჩიპსის საექსპორტო გაყიდვის უფლებაც მოიპოვა. რაოდენ საამაყოა, რომ ეს ახალგაზრდა ჩვენი რაიონიდანაა.

**– თამარ, მოყევი შენს შესახებ, სად დაიბადე და ვინ არიან შენი მშობლები?**

– დავიბადე 1994 წელს, დავამთავრე სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლა. მამა,- მამუკა შეითნიშვილი გახლავთ, დედა,- თინათინ ცხოვრებაშვილი. მათ დიდი წვლილი მიუძღვით ჩემში სწავლის მიმართ ინტერესის გაღვივებაში. ისინი ყოველთვის მეუბნებოდნენ, რომ განათლება ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ადამიანის წარმატებული ცხოვრებისთვის. მათ რჩევებს ახლაც ხშირად ვითვალისწინებ, როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე საქმეში. მნიშვნელოვანია, როდესაც მშობელს შენი სჯერა და მხარში გიდგას, უფრო მეტი მოტივაცია და სტიმული გიჩნდება, მიაღწიო დასახულ მიზანს.

**– რა ხდება სკოლის დამთავრების შემდეგ, რა ბრძოლის გავლა გიწევთ იმისთვის, რომ დაიმკვიდროთ თქვენი ადგილი ამ რთულ და კონკურენტულ გარემოში, როგორ მოხდა თქვენი პროფესიის არჩევა?**

-სკოლა წარმატებით, ოქროს მედალზე დავამთავრე და მოვხვდი სასურველ უნივერსიტეტში, ეს გახლავთ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი. იმისთვის, რომ მიაღწიო დასახულ მიზანს, ბევრი შრომაა საჭირო, მაგრამ როდესაც იცი, რა არის შენთვის ყველაზე პრიორიტეტული, შესაძლებლობების მაქსიმუმს აკეთებ და დასახული მიზნისკენ, კიდევ ერთ ნაბიჯს დგამ. სკოლაში სწავლის პერიოდში უკვე ვიცოდი, რომ სწავლის გაგრძელება ბიზნესის ადმინისტრირებაზე მინდოდა, რადგან ყოველთვის მქონდა სურვილი, რაიმე ახალი შემექმნა და საკუთარი საქმე მქონოდა. საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტზე არჩევანი ქალბატონ ნუნუ ცაკაშვილთან ერთად გავაკეთე, რისთვისაც დიდი მადლობა მას. ჩემი აზრით, საქართველოში საუკეთესო უნივერსიტეტია, განსხვავებული ღირებულებებითა და შესაძლებლობებით. სწორედ ამ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა მეხმარება წარმატების მიღწევაში.

**– თქვენი აზრით, რა თვისებები უნდა გააჩნდეს მიზანდასახულ ახალგაზრდას?**

– წარმატების მისაღწევად ადამიანმა პირველ რიგში უნდა იცოდეს, რისი კეთება უნდა. სწორი არჩევანი გააკეთოს პროფესიაზე, რათა თავისი საქმე უყვარდეს. ჩემი აზრით, ეს ყველაზე მთავარია, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში აკეთებ მაქსიმუმს, შეგიძლია დაუღალავად იშრომო, ყველა სირთულეს გაუმკლავდე და ბოლომდე მოახდინო საკუთარი თავის რეალიზება.

**– მოგვიყევით თქვენი ინოვაციური პროექტის შესახებ. როგორ გაჩნდა იდეა და როგორ მიაღწიეთ ამ ყოველივეს?**

– აგრარულ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში გავიცანი 2 სტუდენტი (კვების ტექნოლოგიებზე სწავლობდნენ) შალვა მძინარაშვილი და ნონა ნონიაშვილი. ჩვენი ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა და (ყველას გვინდოდა კვების ინოვაციურ პროდუქტებზე მუშაობა) ერთ გუნდად ჩამოვყალიბდით. თანამედროვე მსოფლიო მაქსიმალურადაა გადართული სწრაფი კვების პროდუქტებზე. მათი დიდი ნაწილი კი მოდის ე.წ. „სნექებზე“, რომლებიც ადამიანის ორგანიზმზე უმეტეს შემთხვევაში უარყოფით გავლენას ახდენს. ამიტომ, დღესდღეობით სულ უფრო და უფრო იზრდება ინტერესი ჯანსაღი საკვების მიმართ. ამ ტენდენციიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, შეგვექმნა პროდუქტი, რომელიც ერთდროულად იქნებოდა სასიამოვნოც და სასარგებლოც. შედეგად კი მივიღეთ გემრიელი და ჯანსაღი ვაშლის ჩიფსი. ვაშლის ჩიფსების წარმოებისთვის გადავწყვიტეთ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის გაღრმავება, მიზნად დავისახეთ უკეთ შეგვესწავლა შრობის ტექნოლოგიები. მუშაობის პროცესში ავაწყეთ სატესტო ინფრაწითელი საშრობი. ამ საშრობი დანადგარის გამოყენებით, ინტენსიურ დატესტვას ვახორციელებდით სხვადასხვა სახეობის ვაშლზე. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის გავდიოდით შედეგზე (ვიღებდით ჩიფსებს), დატესტვის პროცესში აღმოვაჩინეთ ბევრი დეტალი და ნიუანსი, რომლის გაუმჯობესების შემთხვევაშიც შესაძლებელი იქნებოდა, დაგვეჩქარებინა პროცესი (შესაბამისად, შეგვემცირებინა ხარჯები). მიღებული ცოდნისა და 2016 წლის მეორე ნახევარში პროექტ თშ ფონდის ფარგლებში მოგებული 10 000 ლარით ავაწყეთ საშრობი დანადგარის საბოლოო ვარიანტი. ასევე, შევიძინეთ წარმოებისთვის საჭირო ძირითადი საშუალებების ნაწილი და მცირე ლაბორატორიული აღჭურვილობა. შემდეგ მონაწილეობა მივიღეთ „სტარტაპ“ საქართველოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში და დაგვაფინანსეს 100 000 ლარით. ეს დიდი წარმატება იყო, რადგან უამრავ იდეას შორის ერთ-ერთი გამარჯვება ჩვენ მოვიპოვეთ. ამ ეტაპზე უკვე ავაშენეთ საწარმო, გორის რაიონის სოფელ დიცში, და პროდუქტის ბაზარზე გამოსაშვებად ვემზადებით. კომპანიის მიზანია ამ მიმართულებით მუშაობა და ჯანსაღი „სნექების“ შექმნა.



**– თამარ, თამამად მივიჩნევ, რომ უკვე ახალგაზრდა ბიზნეს ლედი ხართ, ყოველ შემთვევაში იმას,რასაც თქვენმა გუნდმა მიაღწია, ბევრი თქვენზე გამოცდილი ადამიანები ვერ დაიკვეხიან. მჯერა, მომავალში მეტს და მეტს მიაღწევთ, რას მივაწეროთ თქვენი ასეთი მებრძოლი სულისკვეთბა? ეს იღბალია, თუ ღვთის წყალობა?**

– უფლის წყალობაც განმსაზღვრელია, რა თქმა უნდა, მაგრამ, ალბათ, იღბალსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, ასევე იმას, რომ საჭირო დროს საჭირო ადგილზე მოხვდე. თუმცა, ჩემს შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ისაა, რომ ბოლომდე მჯერა იმის, რასაც ვაკეთებ.

**– ვიცი, რამდენად რთულია, ეს ყველაფერი აწიოთ მაღალ დონეზე, მაგრამ მაინც მინდა აღნიშნოთ, რამდენად რთულია აკეთო საქმე და თან აწარმოო საბუთები?**

– სირთულეები ბევრია, ეს არ არის ის საქმე, სადაც რაიმე გეგმას მიყვები და ზუსტად იცი, რა როდის უნდა გააკეთო.



ყველა სიტუაციაში გიწევს გადაწყვეტილება თავად მიიღო, პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო. უამრავი დეტალია გასათვალისწინებელი, მაგრამ სწორედ ესაა ბიზნესი, ერთ კონკრეტულ საკითხზე არ ხარ ორიენტირებული, ბევრი რამის პარარელურ რეჟიმში გაკეთება უნდა შეგეძლოს.

**– რამდენადაც ვიცი, სტუდენტობის დროს, შეხება გქონდათ კახა ბენდუქიძესთან, როგორი იყო თქვენი დამოკიდებულება და რა გასწავლათ მასთან ურთიერთობამ?**

– ბატონი კახა ერთ-ერთი საუკეთესო ადამიანი იყო, ვისაც შევხვედრივარ. მას სტუდენტებთან ყოველთვის მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა. მახსოვს, ერთხელ მკითხა, ლექტორებზე რა აზრის ვიყავი, ხომ არ ვთვლიდი, რომ რომელიმე საგანში სუსტი ლექტორი გვყავდა. მასთან ურთიერთობამ მასწავლა, რომ ცხოვრებაში მთავარი ცოდნა, შრომა და თავისუფლებაა! ვიცი, უზომოდ გაუხარდებოდა ჩვენი პროექტის წარმატება და მისგან ბევრ საჭირო რჩევას და მხარდაჭერასაც მივიღებდით.

**– თამარ, თქვენი პროექტის ფარგლებში, უკვე ორ ქვეყანაში იყავით წასული გამოცდილების მისაღებად,კონკრეტულად რომელ ქვეყანაში იყავით და რა გამოცდილება მოგცათ სხვა ქვეყნის პრაქტიკის გაცნობამ?**

– პირველად ჩვენმა პროექტმა ესტონური კონკურსი მოიგო. ყველა უნივერსიტეტი მონაწილეობდა, 100 ზე მეტი გუნდი. ჩვენ პირველ ადგილზე გავედით, პრიზი 5 000 ლარი და ესტონეთში ტრენინგები იყო, პროგრამაში შედიოდა სხვადასხვა კომპანიების მონახულება და მათი საქმიანობის გაცნობა. ეს დიდი გამოცდილება და ბიძგი აღმოჩნდა ჩვენი საქმიანობის გასაგრძელებლად. შემდეგ იყო CBC ჯგუფის კონკურსი და ვიყავით დანიაში, სადაც გავიცანით ახალგაზრდები (თითქმის ყველა ქვეყნიდან), საინტერესო იდეებითა და პროექტებით. ჩვენ ღირსეულად წარვადგინეთ საქართველო და მივიღეთ შემოთავაზებები ჩვენი პროდუქტის ექსპორტზე გატანასთან დაკავშირებით.

**– თქვენი აზრით, ჩვენს ქვეყანას როგორი ადამიანები დააყენებენ ფეხზე და უჩანს თუ არა თქვენს თვალში საქართველოს კარგი პერსპექტივა?**

– ჩვენს ქვეყანას ფეხზე ახალგაზრდები დააყენებენ, ბევრ მათგანს ვიცნობ და მჯერა, ბოლომდე იბრძოლებენ, იდეები რეალობად აქციონ. საქართველოს დიდი პერსპექტივა აქვს, გახდეს განვითარებული ქვეყანა, ამისთვის შრომაა საჭირო. კიდევ ბევრი კომპანია უნდა შეიქმნას, დასაქმდეს ხალხი და მაქსიმალურად გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობები.

**– თქვენი სამომავლო გეგმები.**

– სამომავლოდ ჩვენი გუნდი გეგმავს იმუშაოს ახალ ჯანსაღ „სნექებზე“. ვაპირებთ ვაშლის ჩიფსების შემდეგ გამოვუშვათ ჭარხლის ჩიფსებიც. (უკვე დაწყებული გვაქვს აღნიშნულ პროდუქტზე მუშაობა) რაც მთავარია, აუცილებლად მოხდება ვაშლის ჩიფსების ექსპორტი. დაწყებული გვაქვს მოლაპარაკებები რამდენიმე ქვეყანასთან და წარმოების მასშტაბის გაზრდის შემდეგ ვგეგმავთ პროდუქციის ევროპაში გატანას.

**– რას ურჩევდით თქვენს თანატოლებს?**

-ჩემს თანატოლებს ვურჩევ, რაც შეიძლება მეტი დრო დაუთმონ საკუთარი თავის განვითარებას. მოვინდომოთ, გვჯეროდეს და პატარა წარმატებებით შევძლებთ შევქმნათ საქართველოს დიდი წარმატება.

ლალი მეხრიშვილი

# ისმინე, ისმინე, ისრაელ, მუმუს აწოვებს ანა...

***21 სექტემბერს, ღვთისმშობლის შობის დღესასწაულზე, დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის შობის სახელობის სამლოცველო სახლში სამლოცველო სახლის მოძღვართან, არქიმანდრიტ ონოფრესთან და ეპარქიის სხვა მღვდელმთავრებთან ერთად სამეუფეო წირვა აღავლინა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის მეუფე დიმიტრიმ. ზიარების წმინდა საიდუმლოების აღსრულების შემდეგ, მეუფე დიმიტრიმ უფლის მიმართ მადლიერებით აღნიშნა ის ფაქტი, რომ ღვთისმშობლის შობის დღეს აქვთ საშუალება იმ წმინდა სამლოცველო სახლში აღავლინონ წირვა, რომელიც ღვთისმშობლის შობის სახელობისაა და, რომელიც ქალაქ დედოფლისწყაროში შემორჩენილი მოქმედი ტაძრებიდან ყველაზე ხანდაზმული და დიდი სიწმინდის მატარებელი სალოცავია.***

— „ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ დღეს არის ღვთისმშობლის შობის დღესასწაული, დღეს ამ ტაძრის დღესასწაულიცაა. ღვთისმშობლის შობა, ეს გახლავთ ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაული ქრისტიანულ დღესასწაულებს შორის. დღევანდელ დღეს უფალმა ინება, რომ დედამიწას მოვლენოდა დაუტევნელის დამტევნელი მარიამი. იცით თქვენ, რომ წმინდა იოაკიმესა და ანას საკმაოდ ღრმა მოხუცებულობამდე არ ჰყავდათ შვილი. ებრაელთა შეხედულებით, უშვილობა იმის ნიშანია, რომ ეს ოჯახი იყო ცოდვილი და ცოდვის გამო უფალი არ ჩუქნიდა შვილს. იოაკიმე და ანა ხშირად განიცდიდნენ ხოლმე შეურაცხყოფას, დამცირებას, და ერთხელაც, როდესაც წმინდა იოაკიმემ მსხვერპლი მიიტანა ტაძარში შესაწირად, (მინდა ყურადღება აქ გავამახვილო, იოაკიმე რჯულით განწესებულზე ორჯერ მეტს სწირავდა ხოლმე), მას უთხრეს, რომ უკანა რიგში გადასულიყო, პირველს არ შეეწირა მსხვერპლი, რადგანაც იყო ცოდვილი და ამ ცოდვილობის ნიშანი იყო ის, რომ მას შვილი არ ჰყავდა. ხალხის ასეთი დამოკიდებულება ძალიან განიცადა იოაკიმემ, ისე, რომ სახლში არ შესულა, არავისთვის არ უთქვამს, წავიდა უდაბნოში, სადაც 40 დღის განმავლობაში



თავის აშენებულ კარავში ცხოვრობდა და ლოცვით ევედრებოდა უფალს შვილის მინიჭებას. წმინდა ანას უშვილობის განსაცდელს დაემატა იოაკიმეს დაკარგვა, დიდმა მწუხარებამ მოიცვა წმინდა დედა, მაგრამ შემდგომ, უფლის მადლით გაძლიერებულმა, სამგლოვიარო ტანსაცმელი განიმოსა, შეიმოსა სადღესასწაულო ტანსაცმელით, ჩავიდა ბაღში და იქ აღავლინა ლოცვა უფლის მიმართ და ამ ლოცვის დროს, მას გამოეცხადა ანგელოზი, რომელმაც აუწყა, რომ მისი ლოცვა უფლის წინაშე შესმენილია და მას ეყოლება შვილი. წმინდა იოაკიმეც ხარებით გაბედნიერებული დაბრუნდა წმინდა ოჯახში და ამის შემდგომ, მეცხრე თვეს დედაღვთისმშობელი მოევლინა ქვეყანას. ეს იყო უდიდესი სიყვარული წმინდა ოჯახში. მშობლებმა უფალს აღუთქვეს სამადლობელად, რომ შვილს შესწირავდნენ ტაძარში სამსახურებრივად. 3 წლის იყო დედაღვთისმშობელი მარიამი, როდესაც წმინდა ანამ მიწაზე დააყენა ის, მან შვიდი ნაბიჯი გადადგა დედის კალთამდე და ამ დღიდან დადო აღთქმა წმინდა ანამ, რომ სანამ ტაძარში არ შესწირავდა, ღვთისმშობელს ფეხს არ დაადგმევინებდა მიწაზე. არსებობს ერთი აპოკალიპტური ნაწარმოები იაკობ მოციქულისა, შობა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელისა, როდესაც დაიბადა ღვთისმშობელი ერთი წლის თავზე, იოაკიმემ მოაწყო დიდი ნადიმი და დაპატიჟა მღვდელმთავრები, უხუცესები, წარჩინებული ადამიანები მთელი ქალაქისა და მათ დაალოცვინა დედაღვთისმშობელი. ამ დროს ღვთისმშობლის საძინებელში შედის წმინდა ანა და სიხარულით გალობს, -ისმინე, ისმინე, ისრაელ, ძუძუს აწოვებს ანა! - ეს არის გახარებული დედის სიტყვები, როდესაც სიბერეში ბერწობის ყვედრება მოუხსნა უფალმა. დედაღვთისმშობელი კიდევ სამი წელი ცხოვრობს მშობლებთან და ამის შემდგომ ის ქალწულებთან ლამპრებით ხელში მიაცილეს, სადაც დაიმკვიდრა მანამ, სანამ საპატრონოდ არ ჩააბარეს მართა- იოსებს. ღმერთმა დალოცოს ამ ტაძრის მრევლი, შემომწირველი და ყველა აქ მდგომი! უფალს ვთხოვ, არათუ ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გამთლიანებულ საქართველოს, არამედ, იმ წილხვედრ ტერიტორიებში მოქცევას და იმ საქართველოს აღდგენას, რაც უფლისა და დედაღვთისმშობლის ნებით საქართველოს ხვდა წილად. უფალმა დაგლოცოთ და გაგახაროთ!“

**ქადაგება ჩაიწერა**
ლალი მეხრიშვილმა

# ადაპტირებული გარემო თავისუფალი არჩევანისთვის

წელს პირველად, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლებს არაერთ სიახლეს სთავაზობს. თუ ამ დრომდე უნარშეზღუდულ ამომრჩევლებს ბინაზე აკითხავდნენ და ასე შეეძლოთ საარჩევნო უფლებით ესარგებლათ, ამჯერად 21 ოქტომბერს დაგეგმილ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე თავად საარჩევნო უბნების ადაპტირება მოხდება. ანუ ეტლით მოსარგებლე, თუ სხვა კატეგორიის სპეციალური საჭიროების მქონე მოქალაქეებს თავისავე დასახლებაში დახვდებათ სრულიად ადაპტირებული და თანამედროვე მოთხოვნებზე მორგებული უბანი. უფრო სწორად, არსებული უბნების პანდუსებით და სხვა საჭიროებებით უზრუნველყოფა მიმდინარეობს, რათა მათაც სხვა ამომრჩევლების მსგავსად ჩვეულებრივ საარჩევნო უბნებზე განახორციელონ ხმის უფლება. ამისათვის ცესკო-მ მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა.

დღეისთვის დედოფლისწყაროს საარჩვნო ოლქში 6 ადაპტირებული საარჩევნო უბანი მოქმედებს. ესენია, ქალაქ დედოფლისწყაროს №1 და №2 უბნები, სოფელ ხორნაბუჯში, ხალხთა მეგობრობის მუზეუმის შენობა და ასევე ზემო ქედში, არხილოსკალოსა და ფიროსმანში საჯარო სკოლების შენობაში განთავსებული საარჩევნო უბნები. პანდუსები უკვე მოქმედებს ქ. დედოფლისწყაროს №1 უბანზე, რომელიც კულტურის სახლის ფოიეშია განთავსებული და ასევე სოფელ ფიროსმანის საარჩევნო უბანზე, რომელიც სკოლაში ამოქმედდა.

ცესკოს კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსი **სოფიო სიჭინავა** გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ არჩევნებამდე დედოფლისწყაროში ადაპტირებული უბნების ოდენობა კიდევ გაიზრდება. მათ ნაწილში პროცესი კვლავ მიმდინარეობს. მისი განმარტებით, პანდუსების მშენებლობას ის ორგანიზაციები და ადგილობრივი თვითმმართველობები ახორციელებენ, რომელთა ბალანსზეც ეს შენობებია.

„კახეთის რეგიონში სულ 300-ზე მეტი საარჩევნო უბანი მოქმედებს, აქედან 105 უკვე ადაპტირებულია და ველოდებით, რომ მათი რიცხვი კიდევ გაიზრდება, რადგან ეს სრული სია არ არის და ნაწილში ადაპტირების პროცესი კიდევ მიმდინარეობს. ჩვენ ოფიციალური წერილით ვეკითხებით იმ ორგანიზაციებს, სადაც საარჩევნო უბნები მოქმედებს, რომ რამდენად ადაპტირებულია ესა თუ ის შენობები უნარშეზღუდულებისთვის. მას შემდეგ რაც შენობების მფლობელები მდგომარეობას გვაცნობებენ, შემდეგ ხდება ღონისძიებების დაგეგმვა. შენობების ადაპტირებას საკუთარ თავზე იღებენ როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ისე ის უწყებები, რომელთაც ეს შენობები ეკუთვნის. ისინი სიამოვნებით იღებენ მონაწილეობას, რომ თანამედროვე მოთხოვნებს მოერგოს და ყველა ადამიანისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს შენობებში შესვლა და საარჩევნო უფლების განხორციელება. სიახლეა ისიც, რომ საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებს ჩაუტარდათ სპეციალური სწავლება, როგორ უნდა მოიქცნენ უნარშეზღუდულ ამომრჩეველთან და როგორ გაუწიონ მათ კვალიფიციური მომსახურება“

როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის პრესსამსახურში გაზეთ „შირაქს“ განუცხადეს, ცესკოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის თანაბარი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან ცესკოს წევრები, სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფის კოორდინირებულ საქმიანობას ახორციელებს ცესკოს კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი. სამუშაო ჯგუფი თავის საქმიანობას წარმართავს ცესკოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფის დებულებით.

დედოფლისწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **ნინო მჭედლიშვილი** გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ საუბნო კომისიის წევრებისთვის 28 სექტემბრიდან სპეციალური სწავლება დაიწყება, სადაც კომისიის წევრებს უნარშეზღუდულ ამომრჩეველთან მომსახურების




და სხვა სიახლეების შესახებ მიაწვდიან ინფორმაციას.

**„მომავალი კვირიდან 23-ივე საარჩევნო უბნის კომისიის წევრს ცესკო სპეციალურ სწავლებას ჩაუტარებს, სადაც ყველა ინფორმაცია იქნება მიწოდებული. გასულ წლებთან შედარებით გაუმჯობესდა უბნების ხელმისაწვდომობა შშმ პირებისთვის. ამის პარალელურად კვლავ იმოქმედებს გადასატანი ყუთი, რომელიც კენჭისყრის დღეს მსურველებს ბინაზე მისვლით ადგილზე მოემსახურება. ამისათვის, ამომრჩევლმა, რომლებიც უბანზე გამოცხადებას ვერ შეძლებენ, წინასწარ უნდა დარეკონ და გადასატანი ყუთის სპეციალურ სიაში დარეგისტრირდნენ. რაც შეეხება პანდუსებს და ადაპტირებულ უბნებს, დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქში რამდენიმე ასეთი შენობა უკვე გვაქვს. ახლა მიმდინარეობს დედოფლისწყაროს №19-ე და 20-ე უბნებზე პანდუსების მშენებლობა. პროცესი კიდევ გაგრძელდება,**“ - აღნიშნავს ნინო მჭედლიშვილი.



შშმ პირთა მიმართ განსახორციელებელი საქმიანობები გათვალისწინებულია ცესკოს ყოველწლიურ სამოქმედო გეგმაში. ცესკომ უზრუნველყო შშმ პირთა სერვისების შესახებ ვიდეორგოლის მომზადება. ყველა ვიდეორგოლი ხელმისაწვდომია ყრუ და სმენადაქვეითებული ამომრჩევლებისთვის სურდო თარგმანის თანხლებით (ჟესტური ენა); ამას გარდა, ცესკოს ვებგვერდი ადაპტირებულია უსინათლო და მცირემხედველი ამომრჩევლებისთვის;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებისთვის კენჭისყრის დღეს ხელმისაწვდომია

- **უსინათლო ამომრჩევლებისთვის - ყველა საარჩევნო უბანზე საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა;**
- **მცირემხედველი ამომრჩევლებისთვის - ყველა საარჩევნო უბანზე ორიცალი გამადიდებელი ლინზა;**
- **ფიზიკური შეზღუდვის მქონე ამომრჩევლებისთვის - ადაპტირებულ საარჩევნო უბნებზე სპეციალური ხმის მიცემის კაბინები;**
- **ყრუ და სმენადაქვეითებული ამომრჩევლებისთვის - ყველა საარჩევნო უბანზე გამოკრული ხმის მიცემის პროცედურების ამსახველი პოსტერი.**
- **ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ამომრჩევლებისთვის - ყველა საარჩევნო უბანზე გამოკრული კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი პოსტერი.**

იმ შემთხვევაში, თუ ეტლით მოსარგებლე და ფიზიკური შეზღუდვის მქონე ამომრჩევლები მიმართავენ საარჩევნო ადმინისტრაციას, ზოგიერთ უბანზე შესაძლებელი იქნება პორტატული (მოძრავი) პანდუსის განთავსება.

საქართველოსორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 58-ე მუხლის 11 პუნქტის შესაბამისად, სათანადო შენობა-ნაგებობის არსებობის შემთხვევაში საარჩევნო უბნისთვის ისეთი შენობა-ნაგებობა უნდა გამოიყოს, რომელიც ყველა ამომრჩევლისთვის იქნება ხელმისაწვდომი, ხოლო ასეთიშენობა-ნაგებობის არარსებობის შემთხვევაში საარჩევნო უბნისთვის გამოყოფილი შენობა-ნაგებობა, სადაცეს შესაძლებელია, მისი გადამცემი ორგანოს მიერ კენჭისყრის დღისთვის ადაპტირებული უნდა იქნეს ყველა ამომრჩევლისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს ორგანულიკანონის ,,საქართველოსსაარჩევნოკოდექსი“ 63-ემუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საარჩევნო უბნებზე ცესკო უზრუნველყოფს ისეთი ტექნოლოგიის გამოყენებას, რომელიც მხედველობის გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებს საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსების საშუალებას მისცემს.

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 185 11-ე მუხლის შესაბამისად პირებს, რომლებიც 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლომ ქმედუუნაროებად ცნო და რომლებიც სტაციონარში არიან მოთავსებული, არ აქვთ არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობის უფლება.

გარდა კანონმდებლობისა, საარჩევნო ადმინისტრაცია სრულად ითვალისწინებს გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციას და ხელს უწყობს კონვენციის მიზნების განხორციელებას.

ილია მარტყოფლიშვილი




## 1947 WLIS SEQTEMBERI

○ KULTMARAZIIS GAMYIDVELMA ANIKO YOCIASVILMA XURDASI MOATYUA MOMXMAREBELI DA AMIT SASTIKAD DAARRVIA VAWROBIS WESEBI. AMIS SESAXEB GAMYIDVELI BAVSVMA SEARCXVINA. PATARA SOTIKO MAMAS EXVEWEBODA, EQVSI MANETI MIECA LAMAZI SAYVIRIS SAYIDLAD, MAMAM ATMANETIANI MISCA. MARAZIASI MISUL SOTIKOS KI GAMYIDVELMA XURDA AR DAUBRUNA. MAMA BAVSVS EKITXEBA, FULI XOM AR DAKARGEO, ARA MAMA, FULI DEIDASTAN ARISO. SOTAS MAMA MIXVDA RASI IYO SAQME DA MARAZIAS MIAKITXA. GAMYIDVELMA JER IUARA, XUTMANETIANI DA MANETIANI MOMCAO, SEMDEG BAVSVI AYVIRDA, ERTI CALI FULI MOGECI DA ARA ORIO. ANIKOM MXOLOD MERE IKADRA XURDIS DABRUNEBA, MAGRAM VIN ICIS, RAMDENI ASETI SAYVIRI AQVS GAYIDULI, XURDIS DAUBRUNEBLAD?

○ WITELWYAROS SAXALXO SASAMARTLOM GAARCIA BRALDEBULEBIS: MIXEIL KAZLOVIS, MARIA ALABOVAS DA ELIZAVETA KRASNOVAS MIMART, ROMELTAC BRALI EDEBODAT SXVISI PIRADI SAKUTREBIS QURDOBASI. MIXEIL KAZLOVMA SAKOLMEURNEO BAZARSI KOLMEURNE MOSULISVILS MOHPARA 3 KILOGRAMI YVELI. MARIA ALABOVAM DA ELIZAVETA KRASNOVAM WITELWYAROSI MCXOVREB KUZMA GERASIMES ZE BALIKAS SAKARMIDAMO NAKVETIDAN MOHPARES 26 KILOGRAMI KARTOFILI. SAXALXO SASAMARTLOM TITOEULS 5-5 WLIT TAVISUFLEBIS ARKVETA MIUSAJA.

○ SIRAQISA DA WITELWYAROS MTS-EBMA GAACARES NAADREVI SASEMODGOMO XVNA. XVNIS SAMUSAOEBS YOVELDRIURAD EMATEBA TRAQTOREBI. MAGRAM ZEMO MACXAANIS DA ZEMO QEDIS KOLMEURNEOBAS AM DROMDE AR DAUWYIA ARC TRAQTOREBIT DA ARC COCXALI GAMWEVI ZALIT XVNA. ASETI CAMORCENIS MIZEZI IS ARIS, ROM KOLMEURNEOBEBIS SAMEURNEO DA PARTIUL XELMZRVANELEBS JER KIDEV RRMAD ARA AQVT SEGNEBULI TEBERVLIS PLENUMIS ISTORIULI DADGENILEBIS MNISVNELOBA. ARC SOFLIS MEURNEOBASI PARTIISA DA MTAVROBIS MIER GATAREBUL RONISZIEBATA SAMEURNEO DA POLITIKURI DEDAAZRI. KOLMEURNEOBEBMA GADAMWRELI ZOMEBI UNDA MIIRON SAADREO XVNASI CAMORCENIS ARMOSAFXVRELAD.

○ BANAKIDAN DABRUNDA 50 PIONER MOSWAVLE, ROMLEBMAC MXIARULAD GAATARES ZAFXULIS ARDADAGEBI. MAT AXALI SASWAVLO WELI ENERGIULAD DAIWYES. GARDA DASVENEBISA, BAVSVEBMA BEVRI AXALI RAMSEIZINES BANAKIS MIER MOWYOBILI EQSKURSIEBIT. ISINI AQTIURAD ECNOBODNEN WITELWYAROS RAIONIS UAXLOES MIDAMOEBS, MIS MDEBAREOBAS. BEVRI SAINTERESO ADGILI NAXES, MAT SORIS `ARWIVIS XEOBA~. SAXLSI DABRUNEBULI NORCI PIONEREBI TAVIS TOL-AMXANAGEBS DIDI ARTACEBIT MOUTXROBDNEN GANVLILI MXIARULI DREEBIS SESAXEB.

○ ZARMACEBI UNDA DAISAJON. QVEMO QEDIS AMXANAG MAXARAZIS SAXELOBIS KOLMEURNEOBIS WEVREBI TAVDADEBIT MUSAOBEN, ZALAS DA ENERGIAS AR ISUREBEN, ROM PIRNATLAD SEASRULON DASAXULI AMOCANEBI DA SEIQMNAS DOVLATI. MAGRAM MAT GVERDIT ARIAN KOLMEURNE WEVREBI: SALOME BAIASVILI, SOTA CARBODASVILI, AVTO QISTAURI DA BABALE GURASPASVILI, ROMELTAC DREMDE KOLMEURNEOBASI ARCERTI SROMA DRE AR GAMOUMUSAVEBIAT. RAS MIVAWEROT MATI ASETI SAQCIELI? RA SAKVIRVELIA ZARMACOBAS, CRUOBAS. SROMISADMI ASETI CIVI DAMOKIDEBULEBISATVIS DA SAXALXO DOVLATIS SEQMNIS SAQMESI TAVIS ARIDEBISATVIS SASTIKAD UNDA DAISAJON ES ZARMACI DA GULCIVI ADAMIANEBI.

○ WITELWYAROS RAIKOMSI GAIMARTA RAIONIS PARTAQTIVIS KREBA. ARINISNA, ROM MARCVLEULIS CABAREBIS SAQMESI CAMORCEBODNEN ZEMO MACXAANIS, ZEMO QEDIS, WITELWYAROS 1 MAISIS SAXELOBIS KOLMEURNEOBEBI. SAADREO SASEMODGOMO XVNA DAWYEBULI HQONDA MXOLOD 15 KOLMEURNEOBAS, MAGRAM ARIAN RIGI KOLMEURNEOBEBI, ROMLEBIC XARISXIANAD AR SWMENDEN NAKVETEBS, RAC SEMDGOMSI GAMOIWVEVS XVNIS XARISXIS DACEMAS.

○ SAQNAVTIS WITELWYAROS MUSATA KLUBIS FOIESI SAQARTVELOS MXATVARTA-KAVSIRIS WEVREBIS MARGALITA DA SOTA METREVELEBIS NAXATI SURATEBIS MOZRAVI GAMOFENA GAIMARTA. WARMODGENILI IYO ORIVE MXATVRIS MIER SXVADASXVA TEMAZE SESRULEBULI 111 CALI SURATI, RAC DID INTERESS IWVEVS.

○ JAFARIZIS KOLMEURNEOBA `SROMASTAN~ ARSEBULI KOMKAVSIRULI ORGANIZACIA SUSTAD MUSAOBS. KOMKAVSIRIS KOMITETIS MDIVANS S. TETVAZES 10 TVESI KREBA MXOLOD XUTJER AQVS GAMARTULI. TUMCA AM KREBIS OQMEBIC DREMDE GAUFORMEBELIA. BEVR KOMKAVSIRELS ARA AQVS MICEMULI DAVALEBA. ZOGIERTZE 3-4 TVIS SAWEVRO DAVALIANEBA IRICXEBA. ZALZE SUSTIA MASOBRIV POLITIKURI MUSAOBAC. AGITATOREBS DREMDE ARCERTI SAUBARI AR CAUTAREBIAT MICNEUL UBNEBZE.

## 1965 WLIS SEQTEMBERI

○ WITELWYAROSI MCXOVREB MRVDEL STEFANE BORISOVTAN RVTISMOWYALE ADAMIANEBI IKRIBEBIAN. 27 MAISS MASTAN MIVIDA WITELWYAROSI MCXOVREBI TAMAR SKOPINA DA MEZOBELI MIIYOLA. ISINI SAMLOCAOSI MIVIDNEN NACNOBI QALIS GANSVENEBULI MEURLISTVIS SUDARISA DA JVRIS SAYIDLAD. DIDI MOWIWEBIT MIAKAKUNES MAMAOS KARZE. MRVDELMA MIIPATIJA ARA SAMLOCVELOSI, ARAMED OTAXSI. MASPINZELMA GULUXVOBA GAMOICINA DA STUMREBS JER TKBILEULI MIARTVA, SEMDEG ARAYI. CEREMONIA ROM DAAMTAVRES, NAYIDOBANI AIRES, MRVDELMA STUMREBI KARAMDE GAACILA DA SKOPINAS WASCURCULA, TANAMGZAVRI MIACILE DA SEMOBRUNDIO. TAMARIC ASE MOIQCA. MRVDELS SUFRA GAEAXLEBINA. MIUSXDNEN MAGIDAS MREVLI DA MRVDELI, KARGAD SEZARXOSDNEN. SEMDEG MAT SORIS INTIMURI SAUBARI DAIWYO... ASE DAMTAVRDA MATI PIRVELI SEXVEDRA. MRVDELMA STUMARS 6 MANETI ACUQA DA DAAMATA, MODI XOLME CEMTANO... MARTLAC T. SKOPINA MRVDELS COTA NUNUAMIREBULI 30 MAISSAC GAMOECXADA. RVINIS WIQEBI ISEV GAMOSCALES, SEMDEG MRVDELI RVINIS SAYIDLAD WAVIDA, STUMARMA DRO IXELTA DA MUTAQEBI SASWRAFOD MISINJ-MOSINJA. BOLOS LEIBSI DAPAWKULI FULEBI IPOVA. 800 MANETI AMOIRO DA MOKURCXLA. MEURLES VIQTOR GARJS MIUTANA DA UTXRA, SAIDAN MOIPARA. MEORE DRES MARAZIASI XELGASLILAD IVAWRES. QMARI MTLAD SEIMOSA: SAATI, KOSTUMEBI DA SXVA SACUQREBIC KI IYIDA AXLOBLEBISTVIS. COLS 350 MANETIRA DAUTOVA DA NATESAVEBTAN WAVIDA. MRVDELMA KI AMAYAD AMOIARA KIBE, STUMARS SESZAXA, MAGRAM LOGINI AQOTEBULI DAXVDA. MIXVDA RASIC IYO AMBAVI DA MILICIAS ACNOBA. SKOPINAS SASAMARTLOM 2 WLIT PATIMROBA MIUSAJA.

○ EVGENI POZNAKOMKINMA DA IASA GAROZASVILMA MOILAPARAKES, ROM ZEMO QEDIS KOLMEURNEOBIS NAKVETIDAN MOEPARAT SIMINDI. ITXOVES MANQANA DA SAMNI GAEMARTNEN NAKVETISKEN. DAIWYES SIMINDIS MTVREVA DA MANQANIS ZARIS DATVIRTVA, MAGRAM UMALVE YOVELIVE ES NAKVETIS YARAULMA F. RUDUSAURMA. YARAULMA MAT WINADADEBA MISCAT, ROM MIETOVEBINAT QURDOBA. TANAC GAFRTXILEBIS MIZNIT TOFIC ISROLA. POZNAKOMKINI MUQARIT GAEMARTA YARAULISKEN, XELSI RARACAS ATAMASEBDA. RUDUSAURMA MOGERIEBIS MIZNIT TOFI ESROLA DA MZIME DAZIANEBEBI MIAYENA POZNAKOMKINS. SEMDEG MOSALODNELI SASJELISGAN TAVIS ARIDEBIS MIZNIT POZNAKOMKINI SXVADASXVA ADGILAS IMALEBODA. GAROZASVILI KI TEBERVLIS TVESI GAASAMARTLES DA 1,5 WLIT TAVISUFLEBIS ARKVETA MIUSAJES. MIMALVASI MYOFMA POZNAKOMKINMA SXVA DANASAULIC CAIDINA. ARXILOSKALOSI MCXOVREB I. SVARIZES MOHPARA 1000 MANETIANI MOTOCIKLI. , RASAC SAXELMWIFO NOMERI WAUSALA, GADAAKETA DA SAWIROEBISAMEBR IYENEBDA. MIMDINARE WLIS 2 SEQTEMBERS KI POZNAKOMKINMA ARXILOSKALOSI M. IANVARASVILIS BINIDAN MOIPARA 2 SULI CXVARI. SENISNES DA MANQANIT GAMOEKIDNEN, MAGRAM MANQANA MZESUMZIRIS NAKVETSI SEVARDA, GATEXA MOTOCIKLI, CXVREBI GAUSVA, TVITON MIIMALA. EVGENI POZNAKOMKINI DAAKAVES DA SAMARTALSI MISCES. SIRNARIS SASAMARTLOM 3 WLIT TAVISUFLEBIS ARKVETA MIUSAJA.

**მოამზადა**
ილია მარტყოფლიშვილმა

# „ცეცხლის ტაძარს“ და „ჭაბუკაურის ბაზილიკას“ ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია განესაზღვრა



საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფელ შილდაში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლებს - „ცეცხლის ტაძარსა“ და „ჭაბუკაურის სატაძრო კომპლექსს“ ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია განესაზღვრა.

ნეკრესის ნაქალაქარის უნიკალური „ცეცხლის ტაძარი“ 1984-1993 წლებში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გათხრების შედეგადაა გამოვლენილი. ტაძარი დიდი ზომის, შერჩეული ფლეთილი ქვით იყო აგებული, რომელიც ჩვ. წ. IV ს-ში არის დანგრეული. პრაქტიკულად იმავდროულად, ამ ნანგრევი მასალით, ნაწილობრივ ძველი შენობის საძირკველზე აუგიათ მძლავრი საფორტიფიკაციო სისტემებით გამაგრებული სასახლე. ამ მეორე ფაზის ნაგებობიდან ამჟამად ორიოდე კედელია შემორჩენილი.

ძეგლის არქეოლოგიური გათხრისას მოპოვებული ნივთიერი მასალის ანალიზიდან გამომდინარე, მეცნიერთა ნაწილის აზრით, აღნიშნული უძველესი ნაგებობა მაზდეანური სარწმუნოების მიმდევარი საზოგადოების სამლოცველოს, ე.წ. „ცეცხლის ტაძარს“ წარმოადგენს. ხოლო ტაძრის რთული გეგმარება გამოწვეულია იმით, რომ ამ ტაძრის მსახური ქურუმები იქ ციურ მნათობებზე დაკვირვებებს აწარმოებდნენ, ზოროასტრული დღესასწაულების კალენდრის შემუშავების მიზნით.

„ჭაბუკაურის სატაძრო კომპლექსის“ ბაზილიკა ერთ-ერთი უადრესი სამნავიანი ტაძარია საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც ქართლის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების პირველივე პერიოდში აშენდა. ბაზილიკა დგას უფრო ძველ, წარმართული ტაძრის ნანგრევებზე. ჭაბუკაურის ბაზილიკა ერთ-ერთი ის ნაგებობაა, რომელიც აღმოსავლეთ ბიზანტიური არქიტექტურული ტრადიციების გათვალისწინებით არის აგებული.

ბაზილიკის გვერდით აშენებულია სანათლავი, რაც ადასტურებს იმას, რომ საქართველოშიც, მსგავსად ბიზანტიის აღმოსავლური პროვინციებისა, ქრისტიანობის გავრცელების პირველ ეტაპზე ტაძრები იგებოდა ბიზანტიური არქიტექტურული ელემენტების გამოყენებით. ჭაბუკაურის ბაზილიკა ერთადერთია საქართველოში, რომელსაც ამ ეპოქის ძეგლებისგან განსხვავებით მართკუთხა საკურთხეველი აქვს. ტაძარი თავის დროზე გადახურული იყო ხის ძელებზე დაყრდნობილი კრამიტებით, რითაც ის გამორჩეულია ამავე პერიოდის ძეგლებისგან და ადასტურებს, რომ ტაძრები საქართველოში არა მხოლოდ ქვის კამაროვანი გადახურვით სრულდებოდა, არამედ ხის ორფერდა კონსტრუქციითაც.

**მონატრება**

## გელა ქოქიაშვილი

ჩემო გაუსაძლისო ტკივილო, შვილო გელა, 2 ოქტომბერი შენი გარდაცვალების დღეა. გავიდა 23 წელი, რაც შენ ამ ქვეყნიდან წახვედი. 31 წლის ასაკში ბედმა გიმტყუნა და გახდი მოულოდნელად ავტომატის მსხვერპლი და უეცრად, სამუდამოდ გამოეცალე შენს საყვარელ ოჯახს. დატოვე ორი მცირეწლოვანი შვილი, სრულიად ახალგაზრდა მეუღლე და გადაინაცვლე სამუდამოდ ზეციურ სამყაროში.

ჩემო საყვარელო შვილო, გახდი ოთხი შვილიშვილის პაპა, მაგრამ ეს ბედნიერება ვერ იგემე, შენ ვერ გაიხარე ვერც სიძეებში და ვერც შვილიშვილებში.

16 წლის შემდეგ შენთან წამოვიდა მამაშენი, რომელიც სულ შენი სახელის ხსენებაში იყო.

შენს სახელს დავიწყება არ უწერია. უსაზღვრო სიყვარულით და სიკეთით განვლო ამ წლებმა. შენს ხანმოკლე სიცოცხლეს უკვალოდ არ ჩაუვლია და მისაბაძ მაგალითად დარჩებათ შენს შვილებსა და შვილიშვილებს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

**მეუღლე** თამრიკო, შვილები, სიძეები, შვილიშვილები;
**შენი ძმა** გურამი, რძალი, ძმისშვილები; **შენი ნატრული** დედა.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს მაია მენთეშაშვილს დედამთილის

კლარა ჯამაგიძის

გარდაცვალების გამო.

იაგო, ჯემალი, ნანა , გია, კახა, ირაკლი, აჩიკო, დათო და ანა პოპიაშვილები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ მარინა და მანანა პოპიაშვილებს მამის

ელგუჯა პოპიაშვილის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეგობრები - მარინე და გურამ მოლაშვილები, ცისია შანშაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ვარლამს- ძმის, მარიკას- მაზლის

ვასიკო ჯინაშვილის

გარდაცვალების გამო.

ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლის 1973 წლის 10[1] კლასის კურსდამთავრებულები იუწყებიან ღვაწლმოსილი პედაგოგის

იზოლდი ფიროსმანაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მარინე ჭილიტაშვილის და ვასიკო პაპაჩაშვილის ოჯახს.

# „რინგის მეფეები“

## არსენ ყარაგვეზაშვილი და ნოდარ ცხოვრებაძე

*ქართველი კიკბოქსინგელების კიდევ ერთი გამარჯვება პროფესიონალურ რინგზე. 12 სექტემბერს აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში გამართულ პროფესიონალურ ჩემპიონატზე ტაილანდურ კრივში, რომელიც აზერბაიჯანის თავისუფალი ორთაბრძოლების ფედერაცის და აზერბაიჯანის ტაილანდური კრივის ფედერაცის ორგანიზებით ტარდებოდა, საქართველოს სახელით ასპარეზობდა ორი დედოფლისწყაროელი სპორტსმენი, ნოდარ ცხოვრებაძე და არსენ ყარაგვეზაშვილი (მწვრთნელი თამაზ ყარაგვეზაშვილი). ტურნირს „რინგის მეფე“ ეწოდებოდა.*

საკმაოდ დაძაბულ ორთაბრძოლებში ქართველმა მებრძლებმა გამოავლინეს მაქსიმალური შესაძლებლობები და აჩვენეს მაღალი სპორტული კლასი, დაიმსახურეს მსაჯთა კოლეგიის მოწონება და მიიღეს არაერთი მოწვევა მომავალშიგასამართ სპორტულ ღონისძიებებზე.

მსოფლიო ჩემპიონმა არსენ ყარაგვეზაშვილმა, რომელიც ამავდროულად საქართველოს ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის ფედერაციის ნაკრების წევრია, ორთაბრძოლა გამართა 80 კილოგრამ წონით კატეგორიაში დადაუპირისპირდა აზერბაიჯანელ, მრავალი ტიტულის მფლობელს პორტსმენს ტურალ ბაირამოვს. არსენმა მოახერხა ტექნიკური ნოკაუტით დაემარცხებინა მეტოქე და ჩემპიონის ქამარს დაეუფლა.

სასაზღვრო პოლიციის N4 სამმართველოს (დედოფლისწყარო) თანამშრომელი, ლეიტენანტი არსენ ყარაგვეზაშვილი 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონია კიკბოქსინგში, ამავდროულად არის საქართველოს ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის ნაკრების წევრი.

არსენ ყარაგვეზაშვილი: „მონაწილეობა მივიღე ბაქოში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე პროფესიონალებში ტაილანდურ კრივში „რინგის მეფეები“ ჩემპიონის ქამრის მოსაპოვებლად. ბრძოლები გაიმართა ბაქოს აკვა პარკში, დისკო კლუბში. ჩემი მონაწილეობა მნიშვნელოვანი იყო, რადგან პროფესიონალური ორთაბრძოლა იყო და მასში მონაწილეობდა სხვადასხვა ქვეყნის ძლიერი მებრძოლი. ამიტომაც ჩემთვის ბევრის მომცემი აღმოჩნდა ეს ტურნირი. საკმაოდ დაძაბული ორთაბრძოლები გაიმართა, შევხვდი აზერბაიჯანის ტაილანდური კრივის ფედერაციის წარმომადგენელს, პროფესიონალ ტიტულოვან მებრძოლს, ტურალ ბაირამოვს.

**-- არსენ, როგორც წესი, თითქმის ყველა შემთხვევაში იმარჯვებ, როდესაც სადმე მიემგზავრები, წინასწარ დარწმუნებულები ვართ, ხოლმე რომ გამარჯვებული დაგვიბრუნდები. მაგრამ მაინც მინდა გკითხო, ამჯერად რამდენად მზად იყავი ამ ტურნირისთვის და როგორ მოემზადე ბაქოში წასვლამდე?**

-- საკამაოდ დიდი მომზადება გავიარე, როგორც ფიზიკური ასევე ტექნიკური. ძალიან ბევრი შრომა ჩავდე, რადგან ვიცოდი, აღნიშნულ ჩემპიონატზე საკმაოდ რთული ორთაბრძოლა მელოდა... გულწრფელად ვამბობ, როდესაც სხვა ქვეყანაში ვიბრძვი, ყოველთვის ძალიან ვღელავ. ეს სულ სხვა განცდაა, რადგან მინდა, ღირსეულად ვიბრძოლო, გავიმარჯვო ხოლმე დავასახელო ჩემი სამშობლო.. მოგეხსენაბათ, მე ვვარჯიშობ დედოფლისწყაროს კიკბოქსინგის კლუბ „ჩემპიონში“რომელსაც ხელმძღვანელობს თამაზ ყარაგვეზაშვილი. სწორედ მისი დიდი შრომის ნაყოფია ჩემი გამარჯვება, სწორედ მასთან ერთად დავისახე მიზნად ამ ტიტულის მოპოვება, საბედნიეროდ ოცნება ამიხდა და შედეგს მივაღწიეთ..

**-- უშუალოდ ორთაბრძოლაზეც რომ გვიამბო, როგორ შეაფასებ მეტოქეს?**

-- შეიძლება ითქვას, რომ ჩემი ბრძოლა საკმაოდ რთულად წარიმართა, რადგან ფიზიკურად ძლიერი მებრძოლი შემხვდა. ძირითადად ტექნიკური მოძრაობებით ვახერხებდი ძლიერი დარტყმების მოგერიებას.



**-- მეტოქის სიძლიერე იყო იმის მიზეზი, რომ რინგზე ბრძოლის ტაქტიკა შეგეცვალა?**

-- პირველი რაუნდის დამთავრების შემდეგ მასწავლებელმა შემიცვალა ბრძოლის გეგმა და ამჯერად უკვე დავიწყე პირველ ნომრად მუშაობა, რომელიც იყო შეტევითი ხასიათის. საბედნიეროდ ამ სტრატეგიამ გამარჯვება მომაპოვებინა. მოწინააღდეგე ტექნიკური ნოკაუტით დავამარცხე და წელს უკვე მეორედ დავეუფლე ჩემპიონის პროფესიონალურ ქამარს.

**-- რას ცვლის ეს ქამრები შენს სპორტულ კარიერაში?**



-- ზოგადად, ჩემს სპორტულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, სამოყვარულო სპორტიდან წარმატებით დავიწყე ბრძოლები პოფესიონალებში. მოგეხსენებათ, 2014 წელს გავხდი მსოფლიო ჩემპიონი, რაც სამოყვარულო სპორტში ყველაზე დიდი შედეგია. მიხარია, რომ პროფესიონალებში ბრძოლები წარმატებით დავიწყე და უკვე ორჯერ ჩემპიონის ქამარი მოვიპოვე. ეს წარმატებები ჩემს რეიტინგში ისახება, რითაც დიდი პასუხისმგებლობა დამეკისრა. თავს არ დავზოგავ და ყველაფერს გავაკეთებ, რომ კიდევ მოვიპოვო მსოფლიო დონის უმაღლესი პროფესიონალური ტიტულები და ვასახელო ჩემი სამშობლო!

**-- მშობლიური რაიონისგან ყოველთვის დიდი მხარდაჭერა გაქვს, რამდენად გაძლიერებს ეს?**

-- პირველ რიგში მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს გულშემატკივარს, რომლებმაც ჩემს წარმატებებში დიდი როლი ითამაშა და ამჯერადაც დიდი მოტივაცია მომცა, რომ მორიგი გამრჯვება მომეპოვებინა.. ასევე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილს სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის უფროსს ბატონ ავთანდილ ხუმარაშვილს, სასაზღვრო პოლიციის №4 დედოფლისწყაროს სამართველოს უფროსს ბატონ დავით ჯალიაშვილს. მათი დამსახურებაა, რომ ასეთი მაღალი დონის ტურნირებში ვღებულობ მონაწილეობას, ყოველთვის ჩემს გვერდში დგანან და მეხმარებიან... მოხარული ვარ, რომ ახლაც ყველაფერმა კარგად ჩაირა, უკვე გაორმაგებული ძალებით ვაგრძელებ ვარჯიშს და წინ კიდევ დიდი გამარჯვებები გველის“.

გამარჯვება მოიპოვა შსს-ს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომელმა ნოდარ ცხოვრებაძემაც. ისიც დედოფლისწყაროში, თამაზ ყარაგვეზაშვილთან გაიზარდა. მან 75კგ წონით კატეგორიაში მიიღო მონაწილეობა და გადამწყვეტ ბრძოლაში, ირანელი მეტოქის დამარცხებით, ჩემპიონის ქამარი მოიპოვა. ამჯერად ნოდარმა გამოავლინა მაღალი სპორტული ოსტატობა და საკმაოდ გამოცდილი მეტოქე პირველსავე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა და მოიპოვა საჩემპიონო ქამარი.

კლუბ „ჩემპიონის“ აზერბაიჯანში ჩემპიონატზე გამგზავრება დედოფლისწყაროს სპორტის და ახალგაზრდობის ცენტრმა დააფინანსა. ტურნირზე სპორტსმენების საუკეთესო მომზადებისთვის მადლობის სიგელით დაჯილდოვდა მწვრთნელი თამაზ ყარაგვეზაშვილი, რომელიც დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეა.

**ილია მარტყოფლიშვილი**

## ულოცავენ!

### ვახტანგ სეფიაშვილს! ელენე ოგბაიძეს!

გილოცავთ შვილების-ნინოს და დავითის ქორწინებას და ჯვრისწერას. ახლადდაქორწინებულებს ვუსურვებთ ღვთის წყალობას, გამრავლებას და ლამაზი , ტრადიციული ოჯახის შექმნას. დაე, მათი სავალი გზა სიყვარულით და სიხარულით ყოფილიყოს აღვსილი. თქვენ კი, სიამოვნებით ილებდეთ თანამონაწილეობას მათი ოჯახის მყარი კედლების შენებაში და ამით ხარობდეთ.

**პატივისცემით,**
ვაჟა გოგაშვილი და ლალი მეხრიშვილი


## ი ყ ი დ ე ბ ა !

დედოფლისწყაროს რაიონში სოფელ ხორნაბუჯში იყიდება ერთსართულიანი სახლი ბელეტაჟზე, 3 ოთახიანი, სუფთა მდგომარეობაში, ავეჯით, ბუნებრივი გაზით, სარდაფით, დიდი საკარმიდამო მიწის ნაკვეთით - ფართი 3,333 კვ.მ. ნაკვეთზე, გარდა სახლისა, განლაგებულია საზაფხულო სამზარეულო, აბანო და საქათმე. სახლთან არის ჭა, რომელიც ზაფხულში არ შრება.
ნაკვეთი გატარებულია რეესტრში, საკადასტრო კოდი 52.06.37.039
სახლის და საკარმიდამო ნაკვეთის ფასია 20,000 ლარი.
☎ 599 551097 თინა ან 599 568567 ქეთინო.

იყიდება ერთ ოთახიანი სუფთა ბინა ქ. დედოფლისწყაროში, რკინის კარით, ცივი და ცხელი წყლით, კომუნიკაციებით უზრუნველყოფილი. ბინას აქვს ავტოფარეხი. გაყიდვის შემთხვევაში ბინაში რჩება გარკვეული ავეჯი. ფასი შეთანხმებით. მისამართი: **რუსთაველის ქუჩა №4, კორპუსი 31, ბინა 17.** ბენზინგასამართ სადგურ „სოკარის“ მოპირდაპირედ.
☎ 591 80-35-13

ფასდაკლებით იყიდება 2 კერძო სახლი დედოფლისწყაროში- შირაქის ქ. №16 და თავისუფლების ქ. №110. საერთო ფართი 820 კვ.მ. და 750 კვ.მ. ორივე სახლი განკუთვნილია საცხოვრებლად, საოფისედ, კერძო სასტუმროსათვის. სამეწარმეო საქმიანობისათვის, ეთნოგრაფიული მუზეუმისთვის, მიმზიდველია პურის სახლის, ღვინის სახლის პერსპექტივისათვის. ფასი შეთანხმებით.
☎ 591 20 52 31. თამაზი.


## ამინდი დედოფლისწყარო

| | დღე | ღამე |
|---|---|---|
| ორშაბათი 25.09 | 20 ° | 19 ° |
| სამშაბათი 26.09 | 20° | 19 ° |
| ოთხშაბათი 27.09 | 15 ° | 13 ° |
| ხუთშაბათი 28.09 | 12 ° | 11 ° |
| პარასკევი 29.09 | 12 ° | 11 ° |
| შაბათი 30.09 | 13 ° | 12 ° |
| კვირა 01.10 | 13 ° | 22 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.